

განმარტებითი ბარათი

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში დამატებების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტზე

- ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:
ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

სამუსიკო განათლება საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სფეროა და უდაოდ მსოფლიოს საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დგას. ამ წარმატების სათავე სამუსიკო განათლების სპეციფიკაში დევს და მრავალწლიანი ტრადიცია გააჩნია.

სამუსიკო განათლების საშუალო რგოლში ტრადიციულად ერთად მოიაზრებოდა სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო ნაწილი. ამგვარი სამუსიკო სკოლის წანამდგვარია ე.წ. “ნიჭიერ ბავშვთა ათწლედი”, რომელიც კონსერვატორიასთან დაარსდა ჯერ კიდევ 1938 წელს. ამ სკოლის საყოველთაოდ აღიარებული პროფესიული დონე და წარმატებები განპირობებული იყო სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ერთ სტრუქტურაში მოქცევით. სახელდობრ, მოსწავლის სასკოლო განრიგში ერთმანეთს ენაცვლებოდა ზოგადი და სამუსიკო პროგრამებით გათვალისწინებული საგნები (მაგ.: ფიზიკა, მშობლიური ლიტერატურა, მათემატიკა, სოლფეჯიო, ფიზიომზადება, მუსიკის ლიტერატურა და სხვ.).

სამუსიკო განათლების სისტემაში ჩატარებული რეფორმის შედეგად მთელს საქართველოში დაფუძნდა სამუსიკო განათლების საშუალო რგოლი – სამუსიკო 11-წლედები. **სამუსიკო 11-წლედი** როგორც მომავალი მუსიკოსების პროფესიული სასწავლო ბაზა შეიქმნა კონსერვატორიის საშემსრულებლო ფაკულტეტთანაც. სათანადო პროფესიული შედეგების მისაღწევად და 11-წლედის წარმატებული მუშაობისათვის აუცილებელია არსებული მრავალწლიანი პოზიტიური გამოცდილების აღდგენა: **სამუსიკო 11-წლედთან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაფუძნება და ამ ორი სკოლის შეჭრილი განრიგით მუშაობა.**

ამგვარი შეჭრილი ცხრილი ზოგავს დიდ დროს. მაშინ, როდესაც ორ სკოლაში (ზოგადსაგანმანათლებლო და სამუსიკო) სიარული ორ ცვლას, ანუ ფაქტობრივად მთელ დღეს მოითხოვს. ეს უარყოფითად მოქმედებს არა მარტო მოზარდის სწავლის ხარისხზე, არამედ მის ჩამოყვალბებელ ფსიქიკაზეც. იმის გამო, რომ სამუსიკო 11-წლედებში მოსწავლეთა კონტინგენტი მცირეა – არაუმეტეს 8-10 მოსწავლისა ჯგუფში, საკლასო მეცადინეობა გაცილებით შედეგიანია, ხშირია ინდივიდუალური გამოკითხვა და მასწავლებელსა და მოსწავლეს კონტაქტის მეტი საშუალება აქვთ.

შეჭრილი განრიგით სასწავლო პროცესის წარმართვა საშუალებას აძლევს მოსწავლეს დღის ერთ მონაკვეთში, ერთ ცვლაში მოამთავროს ზოგადი და სამუსიკო ჯგუფური მეცადინეობა. გამონთავისუფლებული დრო კი დაუთმოს სპეციალურ დისციპლინებს (ფორტეპიანო, ვიოლინო, ჩელო, ფლეიტა და სხვ.).

განსაკუთრებით საჭიროა სამუსიკო და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების თანაარსებობა **სამუსიკო 11-წლედში** მთელი საქართველოდან ჩამოყვანილი **ნიჭიერი ბავშვების ინტერნატის** არსებობისათვის. მოზარდები არიან მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ, იღებენ სრულყოფილ სასკოლო და სამუსიკო განათლებას და ფაქტობრივად ცხოვრობენ “აკადემიურ ქალაქში”. ორი სკოლის ერთსა და იმავე შენობაში განთავსება, მათი ურთიერთთანამშრომლობა ემსახურება ერთადერთ მიზანს – აღზარდოს განათლებული, ჯანმრთელი, პარმონიული პიროვნება და პროფესიონალი მუსიკოსი.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღება შექმნის ზოგადი განათლების პარალელურად სახელოვნებო/სასპორტო განათლების მიღების იურიდიულ საფუძველს; უზრუნველყოფს ზოგადი და უმაღლესი განათლების დონეებზე სახელოვნებო/სასპორტო განათლების სწავლების კოორდინირებული და სისტემური მიდგომის ჩამოყალიბებას; ხელს შეუწყობს ქვეყანაში სახელოვნებო/სასპორტო განათლების განვითარებასა და ნიჭიერ ბავშვებს მიეცემათ დამატებითი შესაძლებლობა ზოგადი განათლების მიღების პარალელურად დაეუფლონ სახელოვნებო/სასპორტო განათლების საფუძველს.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტის თანახმად „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში შედის შემდეგი სახის ცვლილებები:

სახელოვნებო/სასპორტო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება ეძლევათ შეიმუშაონ და განახორციელონ სახელოვნებო/სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამები ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ამ დაწესებულებებთან დადებული სპეციალური ხელშეკრულების საფუძველზე. ისე, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლეებს საშუალება ექნებათ ზოგადი განათლების მიღების პარალელურად დაეუფლონ შესაბამისი სახელოვნებო/სასპორტო განათლების საფუძველსაც.

ამასთანავე, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს უფლება აქვთ ამ მიზნების მისაღწევად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს სარგებლობაში გადასცენ თავიანთ ბალანსზე არსებული ქონება. ასეთ შემთხვევაზე არ გავრცელდება „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 36-ე მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი აკრძალვა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სხვა საგანმანათლებლო დაწესებულების ქონების გამოყენების თაობაზე.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო.

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი ასიგნებების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გააუარესებს იმ პირობა მდგომარეობაზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახადების ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს ასეთის დაწესებას.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის რეკომენდაციებში ასახულ მოთხოვნებს და მის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღიარებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში

კანონპროექტის შემუშავებაში ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ხათუნა ოჩიაური, ჩიორა თაქთაქიშვილი

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრები: ხათუნა ოჩიაური, ჩიორა თაქთაქიშვილი